გაგა ნიუარაძე

კომუნისტური რეჟიმი და ქართული შეგნება

სოციალურ-ფსიქოლოგიური ანალიზის ცდა

I

თავისი არსებობის შვიდი ათწლეულის მანძილზე კომუნისტურმა რეჟიმმა არნახული გავლენა მოახდინა არსებული რეალობის თითქმის ყველა სფეროზე. გასაგებია, რომ განსაკუთრებით ძლიერ ეს გავლენა რეჟიმის უშუალო ბატონობის ფარგლებში გამომჟღავნდა. ამ გავლენის ღრმა დაღი აზის ყველაფერს -- ბუნებას, ეკონომიკას, ფსიქოლოგიას... რა თქმა უნდა, საქართველომაც მიიღო ტოტალიტარული მემკვიდრეობის თავისი "წილი". წინამდებარე წერილში მოცემულია იმ ფსიქოლოგიური ტენდენციებისა და სტერეოტიპების ანალიზის ცდა, რომლებიც ჩამოყალიბდა პოსტსტალინური საბჭოთა რეჟიმის პირობებში. რაც შეეხება სტალინისდროინდელი რეჟიმის სპეციფიკასა და მის გავლენას მასობრივ შეგნებაზე, ეს საკითხები განხილულია ჩემს წერილში "ტოტალიტარიზმის ფსიქოლოგიური ბუნება" (გაზ. "ერი", 1991, 6-8).

წინამდებარე წერილი მოიცავს პერიოდს 1956 წლიდან 1988-მდე. ეს მითითება აუცილებელია, რადგან, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ პერიოდში ჩამოყალიბებული ბევრი ტენდენცია დღესაც ცოცხლობს, მაინც, 1988 წლიდან, ანუ ფართო ეროვნული მოძრაობის დაწყების შემდეგ, ქართულ შეგნებაში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა, რაც ცალკე გამოკვლევას მოითხოვს. ასე რომ, ქვემოთ გამოთქმული ყველა მოსაზრება, სპეციალურად მითითებული შემთხვევების გარდა, უნდა განიხილებოდეს სწორედ აღნიშნულ პერიოდთან მიმართებაში, თუმცა დღევანდელობასთან უშუალო კავშირში.

და კიდევ ერთი. წერილში ძალზე არასრულადაა გაშუქებული ისეთი მნიშვნელოვანი თემა, როგორიცაა ერი და პიროვნება. საქმე იმაშია, რომ ეს თემა შორს სცდება საბჭოთა პერიოდის ფარგლებს და ამდენად, აგრეთვე, მოითხოვს სპეციალურ გამოკვლევას.

ვიდრე უშუალოდ ქართულ ფსიქიკაში ტოტალიტარიზმის დანალექის დახასიათებაზე გადავიდოდეთ, აუცილებელია შევჩერდეთ იმ ცვლილებებზე, რაც საბჭოთა რეჟიმმა განიცადა სტალინის სიკვდილის შემდეგ. ეს საჭიროა იმის გამო, რომ სწორედ სტალინის სიკვდილის შემდეგ ჩამოყალიბდა საბჭოთა წყობილებასთან შეგუების ეროვნული მოდელები. "ხალხთა მამის" მმართველობის პერიოდში უნიფიკატორული ძალისხმევა იმდენად ძლიერი იყო, რომ ეროვნული სპეციფიკა,

ეროვნული ფსიქოლოგიის თავისებურებები დათრგუნულ იქნენ. თქმა უნდა, ეროვნული თავისებურებები ამ პერიოდშიც განაგრძობ არსებობას, მაგრამ ფარულად, ლატენტურად, რადგან არ ჰქონდ გამოვლენის სამუალება. ხოლო ის ეროვნული ნიშნები, რომლებიც ღროს მაინც დასტურდებიან, არ ატარებდნენ არსებით ხასიათს.

სტალინის სიკვდილის შემდეგ გარკვეულწილად შეიცვალა საბჭო იმპერიის არსებობის პრინციპი. ეს, პირველ რიგში, დაკავშირებუ იყო იმასთან, რომ რეპრესიულმა ორგანოებმა დაკარგეს ყოვლისშემძ სტატუსი, ხოლო საზოგადოებრივი პირამიდის კენწეროზე ნომენკლ ტურა მოექცა. ეს კი ნიშნავდა, რომ ტოტალიტარული იმპერია თავი "შემოდგომის" სტადიაში შევიდა, რადგან ტოტალიტარიზმის ერთ-ერ ძირითადი ნიშანია ნებისმიერ მოქალაქესთან ანგარიშის გასწორებ შესაძლებლობა ელემენტარული სამართლებრივი ნორმების დაცვ გარეშე.

რა თქმა უნდა, რეპრესიულ აპარატს მაინც შერჩა უზარმაზა ძალაუფლება და გავლენის სფერო, მაგრამ პოლიტპატიმრების მას ბრივი მონური შრომის გამოყენება და "პროფილაქტიკური" რეპრ სიები წარსულს ჩაბარდა. ისტორიის ირონია: ამ უდიდესი მნიშვნ ობის მისიის განხორციელება ბედმა ისეთ კარიკატულ ფიგურ არგუნა, როგორიც ნ.ხრუშჩოვი იყო.

რეჟიმის გარკვეული ლიბერალიზაცია სხვა პროცესებშიც გამოიხ ოდნავ აიწია "რკინის ფარდა", ნელა, მაგრამ მაინც იზრდებო ცხოვრების დონე (უპირველეს ყოვლისა, საბინაო მშენებლობ ხარჯზე), ხელოვნებაში გაჩნდა ადამიანის შინაგანი სამყაროს შემობრუნების ტენდენცია. მისაწვდომი ფასების მქონე რადიომიმ ბების გამოჩენამ, "სამიზდატისა" და უცხოეთში გამოქვეყნებუ ლიტერატურის გავრცელებამ შექმნა ალტერნატიული ინფორმაცი წყაროებთან ზიარების მცირე შესაძლებლობა. თავისი რო ტელემაუწყებლობის ქსელის ფართო გავრცელებამაც ითამაშა. სა იმაშია, რომ ელექტრონული ყუთის მაყურებელი ოჯახი, მით უმეტ თუ ეს ხდება ინდივიდუალურ, და არა კომუნალურ ბინაში, სპე ფიკურ ინტიმურ ზონას ქმნის, რომლის შიგნით არსებობს ილუზია აი, ახლა მე ვარსებობ ჩემთვის და არა სახელმწიფოსათვის (მიუხე ვად იმისა, რომ ტელეგადაცემების უდიდეს ნაწილს პროპაგანდისტუ რახარუხი შეადგენდა). ტოტალიტარული რეჟიმისათვის კი სახიფათ თვით მისი კონტროლიდან გასვლის ილუზიაც. ამასთან, ტელევიზ თან ურთიერთობა არა მარტო ილუზიების წყარო იყო. ყოველთ არსებობდა შესაძლებლობა ხრუშჩოვის თუ ბრეჟნევის მორიგი "ი ორიული" მოხსენების შუა სიტყვაზე გაწყვეტისა. ეს კი მიკროსკ ულად, მაგრამ მაინც აფართოებდა საბჭოთა ადამიანის "თავისუფლე არეს".

რა თქმა უნდა, მიუხედავად ყოველივე ზემოაღნიშნულისა, საბჭ საზოგადოების ცხოვრებას კვლავინდებურად ინფანტილიზმისა პრიმიტიულობის დაღი დაჰყვებოდა, მაგრამ გარკვეული ძვრ უარყოფაც არ შეიძლება. ტოტალიტარული ცნობიერების დაჯავშნ ხედაპირზე (თუმცა მხოლოდ ზედაპირზე) პირველი ბზარები გაჩნ

ცვლილება, რომელიც განიცადა კომუნისტური სახელმწიფოს არსებობის პრინციპმა, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით შემდეგში გამოიხატა. ჩემს წერილში, -- "ტოტალიტარიზმის ფსიქოლოგიური ბუნება", -- აღნიშნულია, რომ ტოტალიტარიზმის აღზევების პერიოდში "ჰომო სოვეტიკუსის" შინაგანი ცხოვრების საფუძველს შეადგენდა ერთის მხრივ მუდმივი შიში, რომელიც უმეტეს შემთხვევაში სტალინისადმი სიყვარულში გადაიზრდებოდა და მით ინიღბებოდა, ხოლო მეორეს მხრივ, ეიფორიული კოლექტივიზმის გრძნობა, მძლავრი "ჩვენ"-ის განცდა. აი, სწორედ ამ კომბინაციამ განიცადა ტრანსფორმაცია. ჯერ ერთი, ოდნავ შეხუსტდა "ჩვენ"-ის გრძნობა, თუმცა სწორედაც რომ ოდნავ! -- ამ გრძნობის სიძლიერეზე თუნდაც ყამირისა და ბამ-ის ეპოპეები მეტყველებენ. მეორე, უფრო მნიშვნელოვანი იყო ის, რომ შიშმა ადგილი დაუთმო სიფრთხილეს. რეჟიმმა თავის კომპეტენციაში დატოვა სისტემის ბურჯები -- იდეოლოგია და პოლიტიკა, სადაც არავის შეესვლებოდა, მაგრამ რეპრესიული აპარატის შესუსტების შედეგად, გაჩნდა მესამე და ყველაზე მნიშვნელოვანი სიახლე -- საბჭოთა ადამიანს გაუჩნდა თავისუფლების პატარა ზონა.

ამრიგად, სტალინის სიკვდილის შემდეგ საბჭოთა რეჟიმმა მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია განიცადა (აუცილებელია აღინიშნოს, რომ სისტემის ეკონომიკურ საფუძველს თითქმის არავითარი ცვლილება არ დაეტყო). საბჭოთა ეკონომიკა, აგებული ექსტენსიურ პრინციპზე, ბუნებრივი და ადამიანური რესურსების ყოვლად ბარბაროსულ ფლანგვაზე, როგორიც იყო, ისეთივე დარჩა. საგულისხმოა ის გარემოება, რომ თავიდან ხრუშჩოვისეულ ლიბერალიზაციას ისეთი პირი უჩანდა, რომ იგი გაცილებით ფართო მასშტაბებს მიიღებდა, ვიდრე სინამდვილეში მიიღო. მაგრამ მმართველი წრეები ძალიან მალე მიხვდნენ: თავისუფლების "დიდი დოზა" მყისვე მოუტანს აღსასრულს "ყველაზე პროგრესულ რეჟიმს." რა თქმა უნდა, შეიძლებოდა სადავეების სასწრაფოდ მოჭერა და სტალინიზმისაკენ დაბრუნება. მაგრამ ეს უკვე აღარ შედიოდა ახალი გაბატონებული ფენის -- ნომენკლატურის ინტერესებში. სტალინის დროს ყოველი ნომენკლატურული მუშაკის თავზე მუდამ ეკიდა შინსახკომის მახვილი. ახალ პირობებში, როდესაც რეპრესიულ აპარატს ხელები შეეკვეცა, ხელისუფლების სათავეში სწორედ ნომენკლატურა აღმოჩნდა. ამისათვის კი იგი მზად იყო კარკვეულ დათმობებზე წასულიყო, ოღონდ კვლავ არ დაესვა თავზე შინსახკომი. ამიტომ მმართველმა წრეებმა სხვა გზა აირჩიეს.

"ჰომო სოვეტიკუსს" ებოძა ფარდობითი თავისუფლების ულუფა, ანუ, სხვა სიტყვებით, მცირე სოციალური სივრცე, რომელშიც სახელმწიფო, როგორც წესი არ ერეოდა, თუმცა (და ეს მეტად მნიშვნელოვანია) იტოვებდა ამგვარი ჩარევის უფლებას. მოქალაქესა და სახელმწიფოს შორის თითქოს დაიდო დაუწერელი ხელშეკრულება: სახელმწიფო არ ერევა მოქალაქის პირად ცხოვრებაში, თვალს ხუჭავს ოფიციალური კანონმდებლობის აშკარა დარღვევებზე, ხოლო მოქალაქე უარს ამბობს იდეოლოგიასა და პოლიტიკაში ჩარევაზე. გარდა ამისა, თუ ამ "ხელშეკრულების" დარღვევის შესაძლებლობა არსებობდა, მხოლოდ სახელმწიფოს მხრივ (რასაც იგი ხშირად მიმართავდა).

სწორედ ამ "ხელშეკრულებამ" განსაზღვრა საბჭოთა სახელმწიფო არსებობა სამი ათწლეულის განმავლობაში.

უნდა ითქვას, რომ სტალინიზმსაც და პოსტსტალინიზმსაც შეიძლებ ზუსტი ანალოგიები გამოეძებნოს რუსეთის ისტორიაში. თუ სტალინ ხშირად ივანე მრისხანეს ადარებენ, ბრეჟნევის დროის ანალოგია ნიკოლოზ -ის ბიუროკრატიულ-პოლიციურ რეჟიმში ვნახულობთ (იგ ლისხმება რეჟიმები და არა პიროვნებები). აქედან გამომდინარ შეიძლება დავასკვნათ, რომ საბჭოთა რეჟიმმა გადმოიღო და უკიდურ ესობამდე მიიყვანა რუსული სახელმწიფოებრიობის ყველაზე უარყო ფითი ნიშნები: სახელმწიფოს განუზომელი პრიორიტეტი პიროვნებას თან შედარებით, პატერნალიზმი, კანონიერების არარსებობა ან, უკეთეს შემთხვევაში, მისი გვერდის ავლის შესაძლებლობა (ა.გერცენი: "რუს ეთში რომ ყველა კანონი სრულდებოდეს და ქრთამს არავინ იღებდეს აქ ცხოვრება სრულიად შეუძლებელი იქნებოდა".) თანაც, რა აუცილებელია აღინიშნოს, რუსეთის ისტორიის დაბრუნება ივან მრისხანის ეპოქაში მოხდა სწორედ იმ მომენტში, როდესაც საზოგად ოებაში აშკარად გამოიკვეთა და გაძლიერდა ევროპული იდეალებისაკენ (თავისუფლება, მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა, კანონი შემობრუნებისა და პიროვნების უფლებების გაფართოების ტენდენცია საგულისხმოა, რომ საბჭოთა რეჟიმმა უცვლელად შეიოვისა რუსული ისტორიის კიდევ ერთი და მეტად უცნაური კანონზომიერება რეაქციონერ მონარქს ტახტზე აუცილებლად ლიბერალი-რეფორმატორი ცვლის და პირიქით.

მაგრამ დავუბრუნდეთ ჩვენს საგანს. ნომენკლატურის ძირითადი მიზანი მდგომარეობდა საკუთარი ძალაუფლებისა და პრივილეგირებული მდგომარეობის შენარჩუნებაში რაც შეიძლება დიდი ხნით. ძალაუფლების მოპოვებისა და შენარჩუნების ყველაზე საიმედო გზაა ეკონომიკური ძლიერება. მაგრამ საბჭოთა კავშირში ეს იმთავითვე გამორიცხული იყო, რადგან ტოტალიტარული რეჟიმის ერთ-ერთი ძირითადი ნიშანია ეკონომიკის ობიექტური კანონების, ასე ვთქვათ, დეკრეტული წესით უარყოფა და ხელისუფლების დაყრდნობა მხოლოდ და მხოლოდ ძალაზე (ამ მხრივ საინტერესოა პრინციპული განსხვავება დესპოტურ და ლიბერალურ-დემოკრატიულ საზოგადოებებს შორის: თუ მეორეში ფულს მოაქვს ძალაუფლება, -- რაც თავის მხრივ ბევრ ეთიკურ პრობლემასთანაა დაკავშირებული, -- პირველში პირიქით, ძალაუფლებას მოაქვს ფული). მივიღეთ ასე: ნომენკლატურამ შეინარჩუნა ძალაუფლების უმთავრესი (ტოტალიტარულ ქვეყანაში) სფეროები -- იდეოლოგია და პოლიტიკა, რომელთა სადარაჯოზე მთელი რეპრესიული აპარატი დააყენა, საფასურად კი რიგით მოქალაქეს ეკონომიკის სფეროში გარკვეული თავისუფლება უბოძა (თუმცა კანონით აკრძალული).

ამით რეჟიმმა მოისურვა და გარკვეულწილად მოახერხა კიდეც ორი კურდღლის დაჭერა: ერთი -- მასების გამოთავისუფლებული ენერგია იმთავითვე დაიქსაქსა და იგი ინდივიდუალური, თანაც შეზღუდული კეთილდღეობის მისაღწევად წარიმართა. მეორეც, იმის გამო, რომ ზემოთადნიშნული "ხელშეკრულება" არ იყო კანონმდებლურად გაფო-

რმებული. ხელისუფლებას შეეძლო ნებისმიერი მოქალაქე ნებისმიერ დროს სრულიად კანონიერად დაეხაჯა.

საბჭოთა კანონმდებლობა ისეა შედგენილი, არსებობს იმდენი ინსტრუქცია, დამატება, შესწორება და ა.შ., რომ ყველა მათგანის შესრულება პრაქტიკულად შეუძლებელია (გავიხსენოთ გერცენის მოყვანილი გამონათქვამი). გარდა ამისა, არსებობდა "კომუნიზმის მშენებლის მორალური კოდექსი", რომელიც სრულიად კანონიერი ქმედებისათვის, მაგალითად განქორწინებისათვის, ხჯიდა მოქალაქეს. კანონებისა და ნორმების ამ ქაოტურობას სრულიად ერთმნიშვნელოვანი გამიზნულობა ჰქონდა: უხილავ ზღვარს გადასული ადამიანი (მაგალითად ის, ვისაც მიაჩნდა, რომ ძალიან ბევრი ფული მას სახელმწიფოსაგან დამოუკიდებელს ხდის, ან ის, ვინც ფიქრობდა არა საკუთარ კეთილდღეობაზე, არამედ პოლიტიკურ თავისუფლებაზე) "კანონის მთელი სიმკაცრით" ისჯებოდა.

არ იფიქროთ, რომ ზემოთქმული მხოლოდ კომბინატორებსა და დისიდენტებს ეხება. არა, არსებობდა ნებისმიერი, თუნდაც ყველაზე ლოიალური საბჭოთა მოქალაქის მიმართ რეპრესიების განხორციელების უამრავი "კანონიერი" საშუალება. აი, მარტივი მაგალითი: თქვენ რატომღაც უფროსის უკმაყოფილება დაიმსახურეთ ან სათანადო პატივისცემას არ ამჟღავნებთ, ან ზედმეტად გიყვართ სიმართლე, ან, უბრალოდ, თქვენი ადგილი უფროსს თავისი დისშვილისათვის უნდა. და მოქმედებაში მოდის მარტივი მექანიზმი: თქვენ დაგითვლიან სამსახურში ყველა დაგვიანებას, "შაბათობაზე" გამოუცხადებლობას და ა. შ. და სამსახურიდან მოგხსნიან. თუ სამართლიანობის ძებნას დაიწყებთ, სხვა სამსახურს ვერ ეღირსებით, ხოლო ერთი წლის შემდეგ დაგიჭერენ ან გაგასახლებენ როგორც "შუქთახორას"... მაგრამ თუ თქვენ პირნათლად ასრულებთ "თამაშის წესებს", მაშინ არათუ სამსახურში დაგვიანება, გაცილებით უფრო სერიოზული დარღვევაც შეუმჩნეველად ჩაივლის...

პოსტსტალინისტური საბჭოთა სისტემის სპეციფიკა შესანიშნავად აისახა ეპიზოდში, რომელიც მოყვანილია ბრეჟნევის ერთ-ერთი ახლობელი პირის მოგონებებში: ერთხელ ბრეჟნევს ვიდაცამ მოახსენა, ქვეყანაში კატასტროფული მასშტაბი მიიღო ქურდობამ და დატაცებამ. რაღაც ზომები უნდა მივიღოთ. ამაზე ქვეყნის ხელმძღვანელმა კეთილად გაიღიმა და უპასუხა: ეგ არაფერია, ჩვენი ქვეყანა მდიდარია... მე რომ სტუდენტობისას მტვირთავად ვმუშაობდი, ათ ტომარას ვაგონში ვაგდებდი, ერთი კი სახლში მიმქონდა...

აქედან, ვგონებ, ცხადია, რომ სისტემა საკუთარი გამიზნულად არა მხოლოდ თვალს ხუჭავდა იმ ბაკქანალიაზე, რაც ქვეყანაში სუფევდა, არამედ მას პირდაპირ უწყობდა ხელს.

მაგრამ სისტემის ფუნქციონირების აღწერილ პრინციპს ორი ორგანული მანკი ახლდა. ერთი ის, რომ ბუნებრივი რესურსების განიავების იმ ტემპებს და ინტენსივობას, რის ხარჯზეც იკვებებოდა სსრკ და მისგან დამოკიდებული ქვეყნები, ვერავითარი სიმდიდრე ვერ გაუძლებდა. მეორეც ის, რომ ზემოდან დაშვებული ინდივიდუალური თავისუფლების მცირე ულუფა ერთის მხრივ გაფართოებისაკენ

ისწრაფვოდა, ხოლო მეორეს მხრივ, "თამაშის წესების" მხოლოდ გარეგნულად დაცვის აუცილებლობა განაპირობებდა ინდივიდის განსხვისებას სახელმწიფო იდეოლოგიისაგან. ხულ უფრო და უფრო მეტი ადამიანი ხვდებოდა, რომ მყვირალა ლოზუნგებისა და "კომუნიზმის მშენებლის კოდექსის" უკან სიცარიელეა; საკმარისია მხოლოდ გაიმეორო ეს ლოზუნგები და ხელისუფლებას მაინცდამაინც თვალში არ მოხვდე. ამ ფასადს ამოფარებულმა, შეგიძლია შენი პატარა ბედნიერება ააშენო...

* * *

აღწერილმა სოციალურ-პოლიტიკურმა ვითარებამ კიდევ ერთი მეტად მნიშვნელოვანი სიახლე განაპირობა. სახელდობრ, ეროვნული ცხოვრების გარკვეულწილად გამოცოცხლება და საბჭოთა წყობილებასთან შეგუების ეროვნული მოდელების წარმოქმნა. განვიხილოთ ეს ფენომენი უფრო დაწვრილებით.

როგორც უკვე აღინიშნა, პოსტსტალინისტური სსრკ-ის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი განმსაზღვრელი ნიშანი იყო ცალკეული ინდივიდების, საზოგადოების მთელი ჯგუფების თანდათანობითი განსხვისება ოფიციალური იდეოლოგიისა და დეკლარირებული "საბჭოთა მორალისაგან". სხვადასხვა რესპუბლიკებსა და რეგიონებში ეს პროცესი სხვადასხვა ტემპითა და ინტენსივობით მიმდინარეობდა (რუსეთში იგი დღესაც არ დამთავრებულა). ამ მხრივ საქართველოს განსაკუთრებული ადგილი უკავია, რადგან აღნიშნული პროცესი სწორედ ჩვენს სამშობლოში დაიწყო და დასრულდა კიდეც (ამის დასტურია თუნდაც ის ფაქტი, რომ უკანასკნელი არჩევნების მსვლელობაში კომუნისტებს ჩვენში არავითარი მხარდაჭერა არ აღმოაჩნდათ). ამას, რა თქმა უნდა, თავისი მიზეზები ჰქონდა, რომელთა წარმოსაჩენად ოდნავ უკან უნდა დავბრუნდეთ.

ჩემს უკვე ხსენებულ წერილში შევეცადე ის ფსიქოლოგიური ფაქტორები წარმომეჩინა, რომლებმაც განსაზღვრეს საბჭოთა საზოგადოებაში სტალინის კულტის არსებობა და მისი გრანდიოზული მასშტაბები. მოკლედ ჩამოვთვალი ამ ფაქტორებს: ა) შიშის გარდაქმნა (სუბლიმაცია) სიყვარულად; ბ) რელიგიური გრძნობის სტალინზე გადატანა; გ) სტალინი, როგორც თავისუფლებისა და პასუხისმგებლობის ტვირთისაგან თავის დაღწევის სიმბოლო; დ) სტალინის კულტი, როგორც ლოიალურობის ერთადერთ ღირებულებად დანერგვისა და ტრადიციული ღირებულებების უარყოფის შედეგი; ე) სტალინი, როგორც სპეციფიკური ინფანტილური ტენდენციის განხორციელების სიმბოლო, ანუ "ბელადის" კულტი, როგორც კაცისა, რომელმაც ფიზიკურად მოსპო ის ადამიანები, რომლებიც მას "არ მოსწონდა".

ქართულ მასობრივ ცნობიერებაში ყველა ამ ფაქტორთა გვერდით მოქმედებდა კიდევ ერთი, მეტად ძლიერი და სპეციფიკურად ქართული ფაქტორი, სახელდობრ, სტალინის ქართული წარმოშობის ფაქტი.

დღეს-დღეისობით, სტალინიზმის ნაწილობრივი მორალური და პოლიტიკური მსხვრევის პირობებში, ხშირად იწერება, რომ სტალინი

არ არის ქართული ფენომენი (რაც არსებობად სწორია). მაგრამ სტალინის მმართველობის პერიოდში, როდესაც "დიდი ბელადის" აბსოლუტურად ყველა თვისება, გარეგანი თუ შინაგანი, იდეალურად იყო მირნეული, მისი ბრწყინვალების ანარეკლი მის მშობელ ერსაც ეცემოდა. გავიხსენოთ თუნდაც ის, რომ სწორედ ქართველს მისცეს ხელში რაიხსტაგზე აღსამართავი დროშა; ანდა უაღრესად დადებითი ქართველი პერსონაჟები საბჭოთა კინოფილმებში. ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, სტალინის, ასე ვთქვათ, არაპირდაპირი ქება და პირფერობა იყო და სხვა არაფერი, მაგრამ საქართველოში მაინც მოხდა გარკვეული ეიფორიას, რომლის ფონზეც ითრგუნებოდა და იკარგებოდა ჭეშმარიტი ეროვნული ღირებულებები.

ამ, გარედან მოსულ რევერანსებზე გაცილებით მნიშვნელოვანი იყო სტალინის შინაგანი ხატი ქართულ მასობრივ ცნობიერებაში. თუ შევეცდებით სტალინის ფიგურის ერთი ცნებით განსაზღვრას, უნდა ვთქვათ -- აბსოლუტური ძალაუფლების განსახიერება. ხოლო კოლექტიურ შეგნებაში ძალაუფლება ყოველთვის იყო სიტყვებით დასაგმობი, მაგრამ რეალურად ერთ-ერთი ყველაზე უფრო სასურველი ღირებულება. გავიხსენოთ, რომ ნებისმიერი ხალხის ფოლკლორში ზღაპრის გმირი, ადრე თუ გვიან, მეფე ხდება (ძალიან მოკლედ ამ ფენომენის საფუძვლის შესახებ. ძალაუფლება, ისევე როგორც სიმდიდრე, ფლობა, ისეთი ფენომენია, რომლის მიმზიდველობა, ასე ვთქვათ, უშუალოა, რადგან იგი გამოძახილს პოულობს ადამიანის გენეტიკურ, ბიოლოგიურ საწყისებში, ინფანტილურ ფანტაზიებში; ხოლო მისი უარყოფითი, პიროვნების დამთრგუნველი შედეგები უკვე რეფლექსიას მოითხოვს, რომლის უნარი ყველას რიდი აქვს). ძალზე საგულისხმოა, რომ ყოველდღიურ შეგნებაში და მეტყველებაში შეშლილის სიმბოლოა კაცი, რომელსაც თავი ნაპოლეონი ჰგონია, -- ნაპოლეონი, და არა, ვთქვათ, შექსპირი, ედისონი ან სოკრატე.

ყოველივე ზემოთქმული განსაზღვრავს იმას, რომ ძალაუფლების, ძლიერების განმასახიერებელი პიროვნება ძალზე ხშირად იქცევა ეროვნული იდენტიფიკაციის სიმბოლოდ, განსაკუთრებით იმ ხალხებში, რომელთა ძლევამოსილების პერიოდი წარსულს ჩაბარდა. მაგალითად, შუა აზიაში (იგულისხმება მასობრივი ცნობიერება) ავიცენასა თუ ფირდოუსზე მაღლა ჩინგიზ ყაენსა და თემურ ლენგს აყენებენ. ასეთ შემთხვევებში სრულიად უგულვებელყოფილია პიროვნების ყველა უარყოფითი თვისება, მათ შორის ის ზარალიც, რომელიც ასეთმა პიროვნებამ საკუთარ ერს მიაყენა; მნიშვნელობა აქვს მხოლოდ ძალაუფლების მასშტაბს და დამარცხებული ხალხების რაოდენობას.

აქედან, ცხადია, რომ სტალინი, უზარმაზარი იმპერიის ერთპიროვნული მბრძანებელი, ისტორიაში არნახული ძალაუფლებისა და გავლენის მქონე პიროვნება, მისი მშობელი ხალხისათვის, რომელიც სწორედ ამ იმპერიის მიერაა დაპყრობილი, ბუნებრივად იქცა თავყვანისცემის საგნად და ეროვნული იდენტიფიკაციის სიმბოლოდ. ამასთან, უნდა გავითვალისწინოთ, რომ საქართველოში სტალინი უყვარდათ არა იმიტომ, რომ მან "სოციალიზმი ააშენა", არამედ პირიქით, სოციალიზმი უყვარდათ იმდენად, რამდენადაც იგი სტალინის ნაშიერი იყო.

ამ პროცესს კიდევ უფრო აძლიერებდა საბჭოთა რეჟიმის მიერ ლანერგილი ძალაუფლების კულტი, რაც უკიდურესობამდე მიყვანილ მეფის რუსეთისეულ ტრადიციას შეადგენდა. თავის მხრივ, საქართველო უკანასკნელი საუკუნეების განმავლობაში იმყოფებოდა ისეთი სახელმწიფოების გავლენის ქვეშ (სპარსეთი, ოსმალეთი, რუსეთი და სხვ.), სადაც ტრადიციულად დიდი იყო დისტანცია ხელისუფლებასა და დემოსს, ხალხს შორის (ხსენებული დისტანცია თანამედროვე კულტუროლოგიასა და ეთნოფსიქოლოგიაში მნიშვნელოვან ტიპოლოგიურ მახასიათებელს წარმოადგენს).

ამრიგად, ჭეშმარიტი ეროვნული იდენტიფიკაციის, ეროვნული ნებისმიერი მოვლინების სახტიგი დევნის პირობებში სტალინის ქართველობის ფაქტი გახდა ეროვნული თვითდამკვიდრების საფუძველი. მოვლენები კი თავისი რიგით ვითარდება. სტალინი კვდება, მცირე ხნის არეულობისა და დაბნეულობის პერიოდის შემდეგ ძალაუფლებას ხელთ იგდებს ხრუშჩოვი, -- ის ხრუშჩოვი, რომელსაც "დიდი ბელადი" ჩიბუხს უჩაჩქუნებდა და ბუქნით აცეკვებდა. ეს უკვე საგმარისი იყო, რომ შერყეულიყო ლიდერისა და მის მიერ განსახიერებული სისტემის ავტორიტეტი (ტოტალიტარულ ქვეყანაში სახელმწიფო პოლიტიკური სისტემა ხომ მთლიანად გაიგივებულია ლიდერთან). მაგრამ ნიკიტა სერგეევიჩმა მოულოდნელად კლანჭები გამოაჩინა და "ხალხების მამა" ზღართანით გადმოაგდო კვარცხლბეკიდან. ამ გარემოებამ ძალზე დაარჩარა საქართველოში ოფიციალური საბჭოთა იდეოლოგიისაგან სრული შინაგანი განსხვისების პროცესი (აღსანიშნავია, რომ რუსეთის მასობრივი ცნობიერება სხვა მიმართულებით შეიცვალა. აქ გავრცელდა რწმენა, რომ ყველა უბედურების მიზეზია პერსონალურად სტალინი, რომელმაც "დაამახინჯა" მარქსიზმი; თვით სოციალისტური იდეა კი უაღრესად პროგრესულია, საჭიროა მხოლოდ "ლენინური ნორმების" აღდგენა).

აღნიშნული განსხვისების პროცესში საეტაპო როლი ითამაშა, რა თქმა უნდა, 1956 წლის ტრაგედიამ. მარტის გამოსვლის ანალიზისას, პირველ რიგში, თვალში გვეცემა სწორედ ის, რაზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი: ეროვნული იდენტიფიკაციის სიმბოლოს ღაცვის ხურვილი. ეს მოტივი მართლაც არსებობდა და დიდ როლსაც ასრულებდა, მაგრამ ამას გარდა 1956 წლის მოვლენებს სხვა საფუძველიც ჰქონდა.

მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში, ყველა საზოგადოებაში, ვნახულობთ ერთი და იგივე ტიპური ნიშნების მქონე რიტუალებს, რომლებიც კარნავალის ცნებაში შეიძლება გავაერთიანოთ. ამ რიტუალებს სხვადასხვა ისტორიული და მითოლოგიური ფესვები აქვთ, მაგრამ ყველა მათგანს საერთო ნიშნები ახასიათებს: დღესასწაულის მსვლელობაში არსებული სოციალური იერარქიის რღვევა და თავდაყირა დაყენება, თავდაკიწყებული მხიარულება და ლხინი, ხშირად ორგიასტული ხასიათისა, სოციალური როლების შეცვლა და ა. შ. ტიპური კარნავალებია ანტიკური სატურნალიები, ქართული ყეენობა თუ ბერიკაობა და სხვ. ამგვარი რიტუალების საყოველთაო გავრცელება მიანიშნებს, რომ კარნავალს მნიშვნელოვანი სოციალური დატვირთვა აქვს და იგი რაღაც ზოგადსაკაცობრიო სწრაფვებსა თუ მოთხოვ-

ნილებებს აასუხობს. ეს მართლაც ასეა. კარნავალი მეტად მნიშვნელოვან ფსიქოთერაპიულ ფუნქციას ასრულებს. ორ-სამდღიანი დღესასწაულის მსვლელობაში ხალხის ფართო მასებში ხდება დაგროვილი ენერგიის, არარეალიზებული სურვილების, აგრესიული იმპულსების განმუხტვა. ფსიქოლოგებისათვის ცნობილია, რომ არარეალიზებული, რეპრესირებული სურვილები არაცნობიერის სფეროში განაგრძობენ არსებობას და ზოგ შემთხვევაში, ნევროტულ ან სულაც კრიმინალურ ქცევას განაპირობებენ. კარნავალურ ნიღაბს ამოფარებული პიროვნება კი დროებით "თავისუფლდება" თავისი ინდივიდუალობისაგან, გვერდზე დებს საკუთარ სოციალურ მდგომარეობას და თავის ნებაზე იქცევა. ერთი სიტყვით, კარნავალს კომპენსაციის ფუნქცია აქვს: ის, რაც მთელი წელიწადის განმავლობაში არ შეიძლება, მაგრამ სასურველია, კარნავალის პერიოდში შეიძლება და აუცილებელიც არის.

არანაკლებ მნიშვნელოვანია კარნავალის მეორე ფუნქცია. საყოველთაო ზეიმის დროს ხდება გარკვეული ეთნოსისი ან სოციალური ჯგუფის ერთიანობის, სიცოცხლისუნარიანობის დემონსტრირება, ამასთან დემონსტრირება როგორც სხვისათვის, ისე თავისათვის.

დამსწრეთა და მონაწილეთა მოგონებებიდან ცხადი ხდება, რომ მარტის გამოსვლას აშკარად გამოხატული კარნავალური ნიშნები ჰქონდა -- საყოველთაო ეიფორია, ზეიმის განწყობილება, ლხინი, დეინდივიდუალიზაცია, თავნებობა ("ვიღაც მელოტი პოლიტიკანი მე რაღაცას მიკრძალავს, მე კი არ ვემორჩილები!") და ა. შ. კარნავალის ხსენებული ორი ფუნქცია აქ გაერთიანდა -- აკრძალვების რღვევა, იმავე დროს, ეროვნული სულის გამოღვიძებას ნიშნავდა. და აქ არცთუ დიდი მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებას, რომ ეროვნული ენერგიის გამოღვიძება მოხდა ისეთი სატანური ფიგურის დაცვის დროშით, როგორიც სტალინი იყო. ჯერ ერთი, არ დაგვავიწყდეს, რომ სტალინისტური ლოზუნგების ფონზე აქა-იქ გაისმა ეროვნული მოწოდებები. მეორეც, ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რომ 1956 წლის გამოსვლა მშვიდობიანად დასრულებულიყო, ხოლო შემდგომში კი ტრადიციად ქცეულიყო. ასეთ შემთხვევაში, შეგიძლიათ დარწმუნებული იყოთ, სტალინი თანდათან გადაიქცეოდა ტიპურ კარნავალურ ფიგურად, ყეენისა ან საახალწლო ბასილას მსგავსად. ამას ასაბუთებს თუნდაც შემდეგი ეპიზოდი. ქალაქში მანქანით დაატარებდნენ ორ მსახიობს, ერთი ლენინად იყო გადაცმულდი, მეორე -- სტალინად. მანქანა პერიოდულად ჩერდებოდა და იწყებოდა "წარმოდგენა", რომელიც იმაში მდგომარეობდა, რომ დამსწრეთა მოთხოვნით ("ახლა ლენინმა აკოცოს სტალინს", "ახლა სტალინმა აკოცოს ლენინს!") "ბელადები" პერიოდულად პროშნიდნენ ერთმანეთს.

* * *

მაგრამ კარნავალი სისხლიანი ტრაგედიით დამთავრდა. სისტემამ ერთმნიშვნელოვნად აჩვენა, რომ ნებისმიერი არასანქციონირებული მასობრივი გამოსვლა, ოფიციალური პოლიტიკისა თუ იდეოლოგიის

სფეროში ჩარევა იმთავითვე განწირულია. ეს სასტიკი გაკვეთილი ქართველმა ხალხმა კარგად შეითვისა. ცხადი გახდა, რომ არსებული რეჟიმი არავითარ ანგარიშს არ უწევს ხალხის მისწრაფებებს და იდეოლოგიის სფეროში იოტისოდენა კომპრომისზე არ წავა; ყოველივე ამის გამო ეროვნულმა ენერგიამ ოციოდე წლით სხვა მიმართულება მიიღო -- დაიქსაქსა და ინდივიდუალური კეთილდღეობის მისაღწევად წარიმართა.

სამოციანი წლებიდან საქართველოს გარეთ ყალიბდება ქართველის სტერეოტიპი -- ფულის ტომარა, ვაჭარი, სპეკულანტი. დღეს-დღეობით, როდესაც მთელს საბჭოთა კავშირში, განსაკუთრებით მოსკოვსა და სხვა დიდ ქალაქებში, სპეკულაციამ და მოსახლეობის ყვლეფამ ისეთი მასშტაბები მიიღო, არც ერთ ქართველს რომ არ დაესიზმრებოდა, -- აღნიშნული სტერეოტიპი მაინც ცოცხლობს. ეს არაა გასაკვირი, თუ გავითვალისწინებთ, რომ სოციალურ სტერეოტიპებს დიდი მდგრადობა ახასიათებთ, ხოლო ქართველები მართლაც პირველები იყვნენ, ვინც სრულად შეითვისა პოსტსტალინისტური რეჟიმის მიერ შემოთავაზებული "თამაშის წესები" -- არავითარი ჩარევა პოლიტიკასა და იდეოლოგიაში, სამაგიეროდ არაკანონიერი ეკონომიკური საქმიანობის ნებართვა.

საქართველოში ამ მოდელის ამოქმედებასა და შესისხლხორცებას, გარდა უკვე განხილული განსხვავებისა, კიდევ ერთმა, წმინდა ეროვნულმა ფაქტორმა შეუწყო ხელი. საქმე იმაშია, რომ აღნიშნული "ხელშეკრულების" განხორციელება, იმის გამო, რომ იგი კანონმდებლურად არ იყო გაფორმებული, შესაძლებელი იყო მხოლოდ არაფორმალური კონტაქტების დონეზე (სიტყვამ "არაფორმალური", "არაფორმალი" ჩვენში ამ ბოლო დროს პოლიტიკური ელფერი მიიღო და გაიგივდა "დისიდენტთან". სინამდვილეში კი "არაფორმალური" ნიშნავს უბრალოდ არაოფიციალურს, არადაკანონებულს). ქართული კულტურის ერთ-ერთი სპეციფიკური ნიშანი კი მდგომარეობს სწორედ არაფორმალური კავშირების (ნაცნობობა, ნათესაობა, თანასოფლელობა და ა. შ.) პრიორიტეტში, ფორმალურ კავშირებსა და ნორმებთან შედარებით.

ვინმეს შეიძლება მოეჩვენოს, რომ აღწერილი მოდელის ჩამოყალიბება კაპიტალიზმის რაღაც ელემენტების დანერგვას ნიშნავდა. არავითარ შემთხვევაში. კაპიტალისტური ეკონომიკისათვის დამახასიათებელია ძალზე მკაცრი საგადასახადო სისტემა და, რაც მთავარია, კონკურენცია, რომელიც მომგებიანია როგორც მეწარმისათვის, ისე მომხმარებლისათვის. გარდა ამისა, კაპიტალიზმის ხანგრძლივი განვითარების მსვლელობაში ფართო მასებში გაბატონდა აზრი, რომ მომგებიანია, პირველ რიგში, პატიოსანი, კანონთან სრულ თანხმობაში წარმართული ბიზნესი.

საბჭოთა ჩრდილოვანი ეკონომიკა კი ყველა ამ არსებით ნიშანს მოკლებული იყო. ტოტალური დეფიციტის პირობებში, რაც სოციალისტური ეკონომიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დამახასიათებელი თვისებაა, კონკურენციაზე ლაპარაკიც ზედმეტია, ხოლო იმის გამო, რომ ნებისმიერი კომერციული საქმიანობა საბჭოთა კავშირში არაკანონიერი იყო, ყოველი ადამიანი, რომელიც ებმებოდა ასეთ საქმიანო-

ბაში, იმთავითვე "არაპატიოსანთა" კატეგორიაში ხვდებოდა. ადამიანი კი, რომელსაც ოფიციოზი ამგვარ კატეგორიაში ათავსებს, თუნდაც სავსებით ხელოვნურად და დაუმსახურებლად ("ხელოვნურობა" აქ იმაში მდგომარეობს, რომ საბჭოთა რეჟიმმა დეკრეტული წესით აკრძალა ადამიანის საქმიანობის სრულიად ბუნებრივი სფერო -- კომერცია), უკვე გაცილებით ადვილად მიდის შემდგომ და უფრო სერიოზულ ზნეობრივ კომპრომისებზე.

კაცს როგორ მოგიბრუნდება ენა ბრალი დასდო ადამიანს, რომელიც ბუნებით მოვლენილი გერგილიანობის მეშვეობით სარგებლობს აბსურდულ საბჭოთა ეკონომიკაში ლამის განზრახ შექმნილი "ხვრელებით" და სიმდიდრეს იძენს. მაგრამ იმის გამო, რომ ამგვარი საქმიანობა ოფიციალურად არაკანონიერია, არაოფიციალურად კი დაშვებული, მოქმედებაში მოდის ფსიქოლოგიური კანონზომიერება: საზოგადოებაში თავს იჩენს შემრიგებლური დამოკიდებულება სხვა არაკანონიერი ქმედებების მიმართ, მათ შორის ნორმალური ზნეობის თვალსაზრისით აშკარად საძრახისი ქმედებების -- ქურდობის, მექრთამეობის, მოტყუების და ა.შ. -- მიმართ. ამიტომ არაა გასაკვირი, რომ ჩრდილოვანმა ეკონომიკამ სულ მალე გააფართოვა თავისი ასპარეზი და სახელმწიფოს მფლობელობაში მყოფი სიმდიდრის მითვისებასთან ერთად დაიწყო ჩვეულებრივი მოქალაქეების, თანამოქმეების ძარცვა. პრაქტიკულად არ დარჩა საზოგადოებრივი ცხოვრების არც ერთი სფერო, სადაც კორუფციას, ქურდობას, თაღლითობას არ გაედგას მყარი ფესვები. ყველაზე სავალალო კი ის იყო, რომ ფართო საზოგადოებაში ამგვარი ვითარება თითქმის არავითარ პროტესტს არ ბადებდა, ბუზღუნს თუ არ ჩავთვლით.

ლენინურ-სტალინურმა ბოლშევიზმმა მოსპო საზოგადოებრივი ცხოვრების რეგულირების საუკუნეების გამოცდილი სისტემა. უკეგდებულ იქნა ყველა ღირებულება, რომლებიც სხვა საზოგადოებაში მათ მფლობელს მეტ-ნაკლებად მაღალი სოციალური სტატუსის მიღწევის საშუალებას აძლევდნენ (ტალანტი, შრომისმოყვარეობა, სიმდიდრე, წარმოშობა, გერგილიანობა, ფიზიკური მონაცემები და ა. შ.). ამის სანაცვლოდ დამკვიდრდა ერთადერთი ღირებულება, რომელიც სოციალური სტატუსის მოპოვების არასაკმარისი, მაგრამ სრულიად აუცილებელი წინაპირობა იყო -- ლოიალურობა (უფრო დაწვრილებით იხ. გაზ. "ერი", 7,1991). პოსტსტალინისტურ ეპოქაში კი, საზოგადოებრივი ცხოვრების გარკვეულად გართულებასთან ერთად, ახალი ღირებულებებიც გაჩნდა: თანამდებობა, ფული, გავლენიანი ნაცნობ-ნათესავები (ლოიალურობა, ე. ი. იდეოლოგიისა და პოლიტიკის მიმართ ტაბუს დაცვა, რა თქმა უნდა, დარჩა). ესენი ხშირად ეხლართებოდნენ ერთმანეთს, ერთი ზოგჯერ მეორის მოსაპოვებელი საშუალება ხდებოდა, მაგრამ მათი გარჩევა მაინც შეიძლება. რაც შეეხება ტალანტს, განათლებასა და შრომისმოყვარეობას, მათი საზოგადოებრივი ღირებულება წინა პერიოდთან შედარებით კიდევ უფრო დაეცა.

შეიძლება ითქვას, რომ სტალინის მიერ წარმართული ანტიადამიანური, საზოგადოების დეგრადაციისაკენ მიმართული პოლიტიკა მისმა

მემკვიდრეებმა, ახე ვთქვათ, სხვა განზომილებაში გადაიყვანეს და საზოგადოების გარყვნის პროცესი სხვა მიმართულებით წარმართეს. თუ ადრე ხელისუფლება თავის ქვეშევრდომებს უნერგავდა შიშსა და "სიფხიზლეს", ანუ, სხვა სიტყვებით, მოყვასის დასმენისაკენ უბიძგებდა, ახლა სისტემა საბჭოთა მოქალაქეს აქეზებდა: "მოიპარე, ქრთამი აიღე, რაც გინდა აკეთე, ოღონდ ზომა დაიცავი და, რაც მთავარია, მე არ შემეხო" (გასაგებია, რაც უფრო ღრმად შეტოპავდა ადამიანი ჩრდილოვან ეკონომიკაში, მით უფრო ნაკლები იყო იმის შესაძლებლობა, რომ იგი აკრძალულ პოლიტიკურ მოღვაწეობას მიმართავდა).

უნდა ვაღიაროთ, რომ საქართველოში ყველა აღნიშნული ტენდენცია მთელი სისრულით გამოვლინდა. საბედნიეროდ, ამ პროცესებით განპირობებულმა ზნეობრივმა ეროზიამ არ მიგვიყვანა საბოლოო და შეუქცევად დეგრადაციამდე. არაფორმალური კავშირების სისტემას, რომელმაც, როგორც ვთქვით, დიდად შეუწყო ხელი საქართველოში ჩრდილოვანი ეკონომიკის დამკვიდრებას, ამავე დროს, მეორე, უფრო მნიშვნელოვანი მხარეც აქვს. ქცევის ამ ეროვნული სტერეოტიპის გაბატონებული მდგომარეობა, საყოველთაოობა (საქართველოს მასშტაბში), აგრეთვე სხვა, არანაკლებ მნიშვნელოვანი ტრადიციული ღირებულებების არსებობა მიუთითებს, რომ ერმა შეინარჩუნა პოზიტიური ღირებულებების გარკვეული სისტემა, რაც მომავალში აღორძინების იმედს იძლევა (ჩემი წერილის საგანია საბჭოთა სისტემის მიერ დატოვებული დანალექი, ამიტომ არ შევუდგები აღნიშნული პოზიტიური ღირებულებების უფრო დაწვრილებით ანალიზს -- ეს მომავალის საქმეა).

მაგრამ ჭეშმარიტი აღორძინებისათვის ძალზე მძიმე სოციალურ-ფსიქოლოგიური და ზნეობრივი პრობლემების გადალახვა მოგვიწევს. საბჭოთა რეჟიმისადმი შეგუების ქართული ეროვნული მოდელი მომავლისათვის არ გამოგვადგება. ამ მოდელისათვის დამახასიათებელმა ქცევითმა თუ მენტალურმა სტერეოტიპებმა კი ღრმა ფესვები გაიდგეს ქართულ ცნობიერებაში. ამასთან, გულუბრყვილობა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ყველა ქართველს ან, თუნდაც დიდ ნაწილს, ამ სტერეოტიპების: გან განთავისუფლების დიდი სურვილი აქვს, უნარზე რომ არაფერი ვთქვათ.

* * *

ჩვენ ზოგადად დავახასიათეთ სტალინისშემდგომი დროის საბჭოთა რეჟიმი. ასევე ზოგადად მოხაზეთ ამ რეჟიმისადმი შეგუების ქართული მოდელი. ახლა გადავიდეთ ქართულ შეგნებაში საბჭოთა სისტემის გავლენით აღმოცენებული თუ გაღვივებული ტენდენციების და სტერეოტიპების უფრო კონკრეტულ დახასიათებაზე.

სოციალისტური ეკონომიკის ყველაზე თვალშისაცემი ნიშანია ტოტალური დეფიციტი. მუდმივი დეფიციტი სოციალიზმის ორგანული თვისებაა, თვისება, რომელსაც სახელმწიფო ოსტატურად იყენებს, როგორც კიდევ ერთ იარაღს მასების ენერგიის დაქსაქსვისა და

ქვეშეგრდომების კონტროლისათვის (საკმარისი იყო ოდნავი უკმაყოფილება რომელიმე რეგიონში, რომ დახლებზე იმ წამსვე რამდენიმე კვირით ჩნდებოდა ძეხვი და არაყი, ხოლო რამდენიმე მუშას აძლევდნენ ბინას). ახლა გნახოთ, რა ვითარება იყო საქართველოში. ერთის მხრივ დეფიციტი არსებობს, მეორეს მხრივ კი გაიზარდა ხაზოგადოებრივი მოთხოვნილებები და ინდივიდუალური "თავისუფლების ზონა". ამასთან, ყოველივე ეს ხდება არაფორმალური კავშირების ტრადიციული სისტემის არსებობის პირობებში. ბუნებრივია, არაფორმალურმა კავშირებმა გამოყენება ჰპოვეს ყოველგვარი "შოვნისა" და "ჩაწყობისათვის". გამოირკვა, რომ პირი, რომელსაც ნაცნობი ან ნათესავი ჰყავს ნებისმიერ სახელმწიფო დაწესებულებაში, "აეროფლოტის" სალაროდან დაწყებული და სამინისტროთი დამთავრებული, იმთავითვე პრივილეგირებულ მდგომარეობაში იმყოფება სხვებთან შედარებით. მაგრამ "სხვებსაც" ხომ უნდათ ცხოვრება! ჰოდა, ძალიან მალე გავლენიანი ნაცნობის უქონლობის წამალი გახდა უნივერსალური ექვივალენტი -- ფული. შედეგმაც არ დააყოვნა -- მოსახლეობის მთელი ფენები გადავიდნენ "ფულის კეთებაზე". მოქალაქეთა განსაკუთრებულ რისხვას იწვევდა მომსახურების მუშაკთა -- ტაქსის მძღოლების, ოფიციანტების, გამყიდველების და ა. შ. აგრეთვე ბაზარში მოვაჭრე გლეხების "გაყაჩაღება" (ვინაიდან მათთან კონტაქტი ხშირია). მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ ამ კატეგორიის ადამიანებს მხოლოდ ფულის საშუალებით (და არა ნაცნობობისა ან თანამდებობის გამოყენებით) შეეძლოთ მკურნალობა, შვილის ჯარიდან განთავისუფლება, სამართალდამცველ ორგანოებთან ურთიერთობა, მანქანის ყიდვა და ა. შ. (ზემოთქმული ოდნავაც არ ამცირებს ყოველი ცალკეული მომსხვეჭელისა თუ მექრთამის მორალურ პასუხისმგებლობას; მაგრამ სისტემას, რომელიც ხელს უწყობდა აღწერილ ვითარებას, გაცილებით უფრო მძიმე ბრალი მიუძღვის).

საბოლოო ჯამში კი, ყველაზე დაჩაგრული, პატიოსანი მშრომელი აღმოჩნდა. ადამიანი, რომელსაც არც თანამდებობა ჰქონდა, არც ფული, არც გავლენიანი ნაცნობი ჰყავდა (ან ამ უკანასკნელთან მიმართვას არ კადრულობდა.) და პატიოსანი შრომით ცდილობდა ერჩინა თავი, საზოგადოებრივი პირამიდის ქვედა ნაწილში მოექცა; იგი გახდა სისუსტისა და ხიბრეყვის განსახიერება, რომლისგანაც "ძლიერების" მიერ ხარკის აღება ლამის ცხოვრების უნივერსალურ წესად იქნა მიჩნეული.

ამგვარმა სოციალურმა განწყობილებამ თავის მხრივ მძიმე შედეგები გამოიღო. პირველი ის, რომ დამკვიდრდა სტერეოტიპი: ამ ცხოვრებაში მთავარია ინდივიდუალური წარმატება (სიმდიდრე და თავის გამოჩენა). წარმატების მისაღწევად კი ყველა გზები გამოდგება; პატიოსნება, სინდისი და ა. შ. -- ეს "სუსტებისათვის" გამოგონილი ქიმერებია.

ამგვარი სტერეოტიპი, რომელიც დღესაც ცოცხლობს, ძალზე რთულ წინააღმდეგობას ქმნის დემოკრატიული საზოგადოებისაკენ მიმავალ გზაზე. აქ ერთი მნიშვნელოვანი განმარტებაა საჭირო. დემოკრატიულ საზოგადოებაში, როგორც ცნობილია, დაცულია უკლებლივ ყველა ადამიანის უფლებები (ლაპარკია პრინციპზე). მაგრამ ეს სრულიადაც

არ ნიშნავს, რომ ბუნებისაგან უხვად დაჯილდოვებულ პიროვნებას დემოკრატიის პირობებში უფრო უჭირს წარმატების მიღწევა. არა, ძლიერი პიროვნება მაინც დაიმკვიდრებს თავის ადგილს, მაგრამ, ამასთან ერთად, "სუსტების" უფლებების დაცვა იფარავს მას ძალაუფლების ცდუნებისაგან, აუხსნებს მას, რომ უპირველესი დირებულება ადამიანია, და მხოლოდ ამის შემდეგ -- სიძლიერე თუ სხვა. ამგვარი საზოგადოების აშენებისათვის არაა საკმარისი დემოკრატიული ინსტიტუტების კანონით შემოღება. არანაკლებ მნიშვნელოვანია, რომ თუნდაც ის პირები, ვისაც ეკისრებათ დემოკრატიული კანონების ცხოვრებაში გატარება, თავისუფალნი იყვნენ საბჭოთა პერიოდის გავლენით შექმნილ სტერეოტიპებისაგან.

საზოგადოებისათვის კიდევ უფრო მავნე იყო მეორე შედეგი -- შრომისა და სწავლის დირებულების კატასტროფიული დაცემა. საბჭოთა რეჟიმის მიერ შექმნილი მახინჯი ცხოვრების წესის გამო სრულფასოვანი ფიზიკური შრომა არააუცილებელი გახდა საზოგადოების თვით იმ შრეებისათვის, რომლებისთვისაც ამგვარი შრომა არსობრივ სასიათს ატარებს (მუშებისა და გლეხებისათვის). ზუსტად იგივე ითქმის გონებრივი შრომის მუშაკების მიმართაც -- აქ კომპეტენტურობა, რისი მიღწევაც დიდ შრომას მოითხოვს, მეხამეხარისხოვან პირობად იქცა. მაგრამ იმის გამო, რომ საბჭოთა ხინამდვილეში გონებრივი შრომის სიმულაცია მაინც უფრო ადვილია, ვიდრე ფიზიკურისა, იმძლავრა "გასტუდენტების ფსიქოზმა". ერთი შეხედვით, ამგვარი ტენდენცია მხოლოდ მისასალმებელია -- რა სჯობია, თუ ერს განათლება სწყურია. მაგრამ ტრაგედია იმაშია, რომ მთელს საბჭოთა კავშირში, საქართველოში კი განსაკუთრებით, უმაღლესმა სკოლამ დაკარგა თავისი უმთავრესი, ფაქტობრივად ერთადერთი ფუნქცია -- კვალიფიცირებული სპეციალისტების მომზადება. პრესტიჟული გახდა არა საკუთრივ განათლება, არამედ მხოლოდ დიპლომი. ჩვეულებად იქცა ისეთი აბსურდული მოვლენები, როგორიცაა "საგნის ნაწყობა", დიპლომებით ვაჭრობა და ა. შ. მიხაღებ გამოცდებთან დაკავშირებულ ისტორიაზე რომ არაფერი ვთქვათ. შედეგი კი სავალალო. ფორმალურად საქართველოს მსოფლიოში ერთ-ერთი პირველი ადგილი უჭირავს დიპლომირებული სპეციალისტების პროცენტული რაოდენობით, რეალურად კი განათლებისა და კვალიფიკაციის დონე ძალზე დაბალია. და ეს მით უფრო სამწუხაროა, რომ მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან საქართველოში აშკარად შეიმჩნეოდა ის ტენდენცია, რომელმაც დიდად განსაზღვრა იაპონიისა და სამხრეთ კორეის ეკონომიკური აყვავება: გლეხი, ხელოსანი, მღვდელი ვალში დგებოდა, დღე და ღამეს ასწორებდა, შვილს კი სრულფასოვან განათლებას აძლევდა...

საქართველოში შრომისა და სწავლის დირებულების დაცემის ერთ თვალსაჩინო შედეგს მოვიყვან. 30-40 წლის წინათ ქართველი სპორტსმენები -- ხელბურთელები, წყალბურთელები, კალათბურთელები, ფეხბურთელებზე რომ არაფერი ვთქვათ, საბჭოთა სპორტის ელიტაში შედიოდნენ და მსოფლიო კლასის მოთამაშეებით იყვნენ დაკომპლექტებულები. ეს ძირითადად ბუნებრივი მონაცემების ხარჯზე

ხდებოდა (ცრუობილია, რომ სამხრეთელი ხალხები მაღალი ბუნებრივ ტექნიკით გამოირჩევიან). მაგრამ, როდესაც სპორტში პირველ პლანზე წამოიწია ფიზიკურმა მომზადებამ, სათამაშო დისციპლინამ, რეჟიმის დაცვამ, ანუ პირობებმა, რომლებიც ყოველდღიურ დაძაბულ მუშაობას მოითხოვენ, -- ჯერ ქართული ხელბურთის მზე ჩაესვენა, შემდეგ მას მიჰყვა წყალბურთი, კალათბურთი და ბოლოს -- ფეხბურთი.

ყოველივე ზემოთქმულთან მჭიდრო კავშირშია საბჭოთა სისტემის პირდაპირი გავლენით შექმნილი კიდევ ერთი ნეგატიური ტენდენცია -- საზოგადოებაში "დროის ჰორიზონტის" (ო.ტოფლერის ტერმინია) დავიწროება. ადამიანმა დაკარგა საკუთარი ცხოვრების შორეული ვადით დაგეგმვის, თავისი საქმიანობის შორეული შედეგების შეფასების უნარი და შესაძლებლობა. აზრი დაკარგა წარმატების მიღწევის "ამერიკულმა" გზამ; მხედველობაში მაქვს 10-15-20 წლის დაძაბული შრომა და გაჭირვების ატანა, საბოლოო ჯამში, კეთილდღეობის მიღწევის იმედით. ადამიანის ენერგია მიიმართებოდა უახლოესი მიზნების, ამწუთიერი სიამოვნების მისაღწევად. ამგვარმა განწყობამ განაპირობა უმძიმესი ეკოლოგიური, დემოგრაფიული, სოციალური და, ვინ იცის, კიდევ რა სახის შედეგები, რომელთა ლიკვიდაციას ძალზე დიდი დრო, სახსრები, რაც მთავარია, და ამავე დროს ყველაზე ძნელი, ცხოვრების სტილის შეცვლა დასჭირდა.

* * *

როგორც ეს ყოველთვის ხდება, ღირებულებათა სისტემის შეცვლამ, ახალი პრიორიტეტების გაჩენამ თავისი ასახვა ენაშიაც ჰპოვა. გაჩნდა და ყოველდღიურ მეტყველებაში მტკიცედ მოიკიდა ფეხი ახალმა სიტყვებმა და გამოთქმებმა: "ჩაწყობა", "დიდი კაცი", "მოწყობა" და სხვ. ეს ლინგვისტური ახალწარმონაქმნები კარგად გამოხატავენ ფსიქოლოგიურ ტენდენციებს, რომლებიც მათ საფუძვლად უდევთ. მაგრამ, ჩემი აზრით, ყველაზე ტევადი სიტყვა, რომელშიც სარკესავით აირეკლებოდა ჩვენი საზოგადოების განწყობილება და ცხოვრების სტილი -- ინდივიდუალური კეთილდღეობისაკენ ლტოლვა, შემწყნარებლური დამოკიდებულება არცთუ ზნეობრივი საქციელისადმი, ამწუთიერი სიამოვნებისაკენ სწრაფვა, ნიჰილისტური დამოკიდებულება შრომისა და სწავლისადმი და ა. შ. -- ესაა "ჩალიჩი".

როდესაც ვიგებთ, ვინმე რაღაც საქმეზე "ჩალიჩობსო", იმთავითვე გასაგები ხდება, რომ იგი ხერხებისა თუ მეთოდების ფართო სპექტრს მიმართავს -- აქ გავლენიან ნაცნობს დაიხმარებს, იქ ვიღაცას "პატივს სცემს", კიდევ სადღაც თავს მოისაწყლებს, ერთი სიტყვით, მიზნის მისაღწევად მრუდე გზას არ მოერიდება. აბა, რას იზამ, ქვეყანაში, სადაც ყველაფერი დეფიციტურია, სადაც ოდნავ ნორმალური ცხოვრებაც შეუძლებელია თანამოძმის დაჩაგვრის გარეშე ("ჩალიჩი" ზომ ისეთი რაიმეს მოპოვებას ნიშნავს, რაც უმრავლესობისათვის მიუღწევადია), ასეთ ქვეყანაში "ჩალიჩის" ცხოვრების წესად გადაქცევა სავსებით გასაგებია და სადღაც გამართლებულიც კი. მაგრამ უბედურება ისაა, რომ კოლექტიურ სტერეოტიპებს ძალზე ძლიერი ინერცია ახასიათებთ

და ისინი გაცილებით მეტ ხანს ცოცხლობენ, ვიდრე მათი მშობელი პოლიტიკური სისტემა. ამიტომ არსებობს საშიშროება, რომ მომდევნო პოლიტიკური სისტემა, იმის ნაცვლად, რომ ძირეულად დაანგრიოს წინა სისტემის მიერ შობილი სტერეოტიპები, თვით მოექცეს მათი გავლენის ქვეშ.

ზნეობრივ ატმოსფეროს ჩვენს საზოგადოებაში, ვფიქრობ, კარგად ასახავს შემდეგი ეპიზოდი: ორი წლის წინათ, როდესაც პირველად დაიწყო აწ უკვე ჩვეულებად ქცეული შიმშილობა უმაღლეს სასწავლებელში ჩასარიცხად, ამ აქციას მოულოდნელად მხარი დაუჭირა ერთ-ერთმა არაფორმალურმა ჯგუფმა. იქვე გავრცელდა ჭორი, რომ არაფორმალებმა ამ მხარდაჭერაში... ფული აიღეს. დარწმუნებული ვარ, ეს მართლაც რომ წმინდა წყლის ჭორი იყო და არაფორმალებს სხვა მოტივი ამოძრავებდათ -- ალბათ, პოპულარობის მოპოვების სურვილი. დამაფიქრებელი სხვაა: მე არ ვიცი არც ერთი ადამიანი, ვინც ამ ჭორის გაგონებაზე აღშფოთებულიყო ან თუნდაც გაოცება გამოეთქვა; "არა მგონია..."; "ხედავ შენ..."; "რა ვიცი..." -- ასეთი იყო რეაქცია.

ნ.კარამზინი თავის დროზე წერდა: "რომ მოვისურვოთ ერთი სიტყვით გამოვხატოთ ის, რაც რუსეთში ხდება, უნდა ვთქვათ: "იპარავენ". ვფიქრობ, სიტყვის "იპარავენ", -- ნაცვლად რომ "ჩალიჩობენ" ჩავსვათ, 60-80-იანი წლების საქართველოს სურათს მივიღებთ...

ზემოთქმულთან დაკავშირებით ერთ საგულისხმო ეთნოფსიქოლოგიურ ფენომენს მოვიყვან. როგორც უკვე აღინიშნა, საქართველოში მყარად გაიდგა ფეხი რუსეთიდან შემოსულმა ძალაუფლების კულტმა, თუმცა ჩვენში იგი მეტად თავისებურად გარდატყდა. რუსისათვის თანამდებობის პირი, პირველ რიგში, სახელმწიფოს ძლიერებას განასახიერებს და, ამდენად, გარკვეულწილად დეინდივიდუალიზებულია; საქართველოში კი პირიქით, თანამდებობა შეადგენს მოცემული კონკრეტული პირის "ჩალიჩის" უნარის საზომს. ისიც საგულისხმოა, რომ რუსულ ჟარგონში "ჩალიჩის" ექვივალენტი, რამდენადაც ვიცი, არ არსებობს. ამგვარი ფაქტები კიდევ ერთხელ ასაბუთებენ საბჭოთა რეჟიმისადმი შეგუების ეროვნული მოდელების არსებობას.

* * *

60-80-იანი წლების საქართველოში მიმდინარე სოციალურ-ფსიქოლოგიური პროცესების მიმოხილვა სრული არ იქნება, თუ არ შევეხებით ახალგაზრდა თაობაში არსებულ სპეციფიკურ ტენდენციებს

როგორც უკვე ითქვა, საქართველოში 60-იანი წლების ბოლოდან დაიწყო კომუნისტური სისტემისაგან ფსიქოლოგიური განსხვისების პროცესი და ამ პროცესმა მალე თავის მაქსიმუმს მიაღწია. გარეგნულად კი ყველა სოციალური ინსტიტუტი ინარჩუნებდა კომუნისტურ ფასადს საყოველთაო გავრცელება ჰპოვა "ორმაგმა მორალმა" -- მოქალაქე პირნათლად იცავდა სისტემის მიერ შექმნილ "თამაშის წესებს", ამავე დროს კი, მშვენივრად ესმოდა, რომ ეს წესები სისულელეა და უზნეობა და არაფორმალურ დონეზე სრულიად განსხვავებულად იქცეოდა

ეროსი თაობა, მცირე გამონაკლისის გარდა, შედარებით უმტკივნეულოდ შეეჩვია ამგვარ მდგომარეობას, მით უმეტეს, რომ ცხოვრების "ახალი წესი" ნამდვილი შვება იყო სტალინის დროსთან შედარებით.

ახალგაზრდულ გარემოში კი მდგომარეობა სხვაგვარი იყო. ახალგაზრდული მაქსიმალიზმი და თვითდამკვიდრებისაკენ სწრაფვა საყოველთაოდაა ცნობილი. აქედან გასაგებია, რომ მოსწავლეებისა თუ სტუდენტების წრეში ფსიქოლოგიური რეაქცია ოფიციალურ პროპაგანდასა და რეალურ სინამდვილეს შორის თვალშისაცემ განსხვავებაზე გაცილებით უფრო ძლიერი იყო (სინამდვილეში ზემოთქმული სამართლიანია არა მთელი ახალგაზრდობის, არამედ მისი საგმაოდ მცირე ნაწილის მიმართ, მაგრამ ეს სავსებით საკმარისი იყო; სოციალური ფსიქოლოგიიდან ცნობილია, რომ აქტიურ ლიდერს ან აქტიურ ბირთვს შეუძლია უძლიერესი გავლენა მოახდინოს დიდ ჯგუფზე და მთელ საზოგადოებრივ შრეებზეც კი). ახალგაზრდობამ შეიგრძნო კომუნისტური მორალის სიყალბე, მაგრამ ამას შედეგად არა მასთან შეგუება, არამედ სრული, თუმცა არცთუ მთლად გაცნობიერებული უარყოფა მოჰყვა. შეიქმნა ნამდვილი მორალური ვაკუუმი -- კომუნისტური ღირებულებები მტვრად იქცნენ, ტრადიციული ქრისტიანული ზნეობა კი მნიშვნელოვანწილად დავიწყებული იყო. მაგრამ ადამიანთა თანაარსებობა შეუძლებელია მორალური ნორმების თუნდაც პრიმიტიული სისტემის გარეშე. ხსენებული ვაკუუმიც მალე შეივსო: ახალგაზრდობის შეხედულებაში დამკვიდრდა დამნაშავეთა სამყაროს მორალური კოდექსიდან ნასესხები ნორმები -- ნორმები მეტად მარტივი, ყველასათვის გასაგები და, ამასთან, უარმყოფელი, როგორც ოფიციალური მორალისა, ისე უფროსი თაობის შემრიგებლობისა. ახალგაზრდობის ერთი ნაწილი ამასაც არ დასჯერდა, უკუღმართ რეალობას გაექცა და ნარკომანიის მრუდე გზას დაადგა.

ძალზე საგულისხმოა, რომ უფრო მოგვიანებით აღმოცენებული ასეთივე ვაკუუმი რუსულ ახალგაზრდობაში შეივსო არა "ქურდული გაგებით", არამედ არმიული მორალით. 80-იან წლებში რუსეთის სხვადასხვა რეგიონებში ყალიბდებიან ახალგაზრდული ბანდები, რომლებისთვისაც დამახასიათებელია მტკიცე ასაკობრივი სუბორდინაცია, მყარი დისციპლინა, აუცილებელი ფიზიკური მომზადება, კოლექტიური ძალადობისაკენ მიდრეკილება, ანუ ყოველივე ის, რაც ქართული ინდივიდუალიზმი ვერ იგუებს.

"ქურდული გაგება" შემდეგ ძირეულ პრინციპებს ემყარება: ა) საკუთარი შრომით ცხოვრებაზე უარის თქმა; ბ) არავითარი თანამშრომლობა სახელმწიფო სტრუქტურებთან, მით უმეტეს, სამართალდამცველ ორგანოებთან. სათანადო ტერმინით აღნიშნული დამსმენი უკიდურესად ოდიოზური ფიგურა ხდება; გ) მორალური ნორმები ვრცელდება მხოლოდ საკუთარი წრის წარმომადგენლებზე, სხვა ადამიანებს მხოლოდ გამოყენებითი ღირებულება აქვთ; დ) თვით "ქურდული გაგების" წრეში იმარჯვებს ძლიერი, სუსტი კი უწყალოდ იჩაგრება. (ორთოდოქსულ ქურდულ კოდექსში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პრინციპია: უარის თქმა არა მარტო შრომაზე, არამედ

საკუთრებასა და ოჯახზეც. მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო ეს ნორმა ახალგაზრდობაში არ დამკვიდრდა).

ცხადია, მოსწავლეთა და სტუდენტთა გარემოში ეს პრინციპები გაცილებით ნაკლებად მკაცრად სრულდებოდა და მათი დარღვევისათვის სანქციებიც ნაკლებად სასტიკი იყო, ვიდრე სამდვილ კრიმინალურ წრეებში. მიუხედავად ამისა, "ქურდულმა გაგებამ" გარკვეული დაღი დაასვა არა მარტო ქართველ ახალგაზრდობას, არამედ მთელს ჩვენს საზოგადოებას. მართლაც, როდესაც ახალგაზრდა სწავლას ამთავრებს და ურთიერთობათა ახალ სისტემაში ერთვება, -- ეს იქნება საწარმოო, სამსახურეობრივი თუ საოჯახო ურთიერთობები -- მას მოაქვს თავისი ყოფილი გარემოს ნორმები; რა თქმა უნდა, ეს უკანასკნელნი ახალ გარემოში მნიშვნელოვანწილად ნეიტრალიზდებიან, სიმძაფრეს კარგავენ, მაგრამ, ამავე დროს, თავის მხრივ გავლენას ახდენენ საერთო-საზოგადოებრივ ზნეობრივ ატმოსფეროზე. ამ პროცესმა კიდევ უფრო გააძლიერა უკვე აღწერილი უარყოფითი ტენდენციები -- შრომისა და სწავლის ღირებულების დაცემა, დანაშაულისადმი შემწყნარებლობა და სხვ.

გარდა ამისა, "ქურდული გაგების" ელემენტების გავლენით ძლიერდება წინააღმდეგობა, დაპირისპირება ცალკეულ საზოგადოებრივ ჯგუფებს შორის, ამასთან სწორედ, იმ ჯგუფებს შორის, რომლებიც თავისი არსით თანამშრომლობისაკენ არიან მოწოდებული: სკოლაში უფროსკლასელები და მასწავლებლები "ცივი ომის" მდგომარეობაში იმყოფებიან; პედაგოგთა მთელი ენერგია მიმართულია თუნდაც მოჩვენებითი წესრიგის შესანარჩუნებლად, სწავლებისათვის კი ძალები აღარაა საკმარისი.

არანაკლებ დაძაბული მდგომარეობაა რიგით მოქალაქესა და სამართალდამცველ ორგანოთა შორის. ბოროტმოქმედთა მიერ ნაცემი ან გაძარცვული მოქალაქე, მით უმეტეს, ახალგაზრდა, მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში თუ მიმართავს მილიციას, მეტიც, ხშირად დონეს არ იშურებს, რომ დამნაშავე არ იყოს მხილებული. რა თქმა უნდა, ამგვარი ურთიერთობა მხოლოდ ქურდული ეთიკით როდია განპირობებული; აქ მოქმედებს ტრადიციული შიში რეპრესიული ორგანოების მიმართ, ეჭვი (სამწუხაროდ, გამართლებული) მილიციის მუშაკთა კომპეტენტურობასა და პატიოსნებაში და ა. შ. ასეა თუ ისე, აღნიშნული ორმხრივი დაძაბულობა ჯერ კიდევ არსებობს და ეს ძლიერ წინააღმდეგობას ქმნის სამართლებრივი სახელმწიფოს საფუძვლების ამენების გზაზე.

ამასთან დაკავშირებით, არ შეიძლება არ შევეხოთ ახლო წარსულის ტრაგიკულ მოვლენებს. ყველას კარგად გვახსოვს ქართული მილიციის გმირული მოქმედება 9 აპრილის ტრაგედიის დროს, მოქმედება, რომლის შეფასებისას მხოლოდ მადლიერებისა და მოწიწების სიტყვები გვმართებს. მაგრამ არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ მილიცია სალხის მხარეზე გადავიდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც დამსჯელმა ჯარმა იგი მოკავშირეთა რიგებიდან გამორიცხა. ორიოდე თვით ადრე კი იგივე მილიცია ფრიად "არამეგობრულად", მეტი რომ არ გთქვათ, გაუმახპინძლდა ახალგაზრდულ დემონსტრაციებს (პოლიტექნიკურ ინსტიტუტ-

ლან და ორჯონიკიძის ძეგლთან). მაგრამ, მიუხედავად ამისა, 9 აპრილს მომხდარი ფაქტი ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს როგორც ხსენებული, ისე სხვა არსებული დაპირისპირების მოხსნისა და ჯანსაღი კონსოლიდაციის პრინციპულ შესაძლებლობაზე.

და ეს იმედის მომცემია.

* * *

აქ დავამთავროთ ქართულ შეგნებაში ტოტალიტარული სისტემის გავლენით წარმოშობილი ტენდენციების განხილვა. თქმა არ უნდა, არასასარბიელო სურათი დაიხატა. შესაძლოა, ვინმეს მოეჩვენოს, თითქოს ავტორი ფერებს ამუქებდეს. ღმერთმა ქნას, ასე იყოს. მე მადლიერების გრძნობით შევხვდები ნებისმიერ გამოხმაურებას, მით უმეტეს ისეთს, სადაც არგუმენტირებულად იქნება ნაჩვენები მოცემულ წერილში გამოთქმული მოსაზრებების მცდარობა. მაგრამ, სიმართლე გითხრათ, გაცილებით უფრო მაღელვებს რეპლიკები ჩვენში გავრცელებული იმ შეხედულების დამცველებისაგან, რომლის თანახმადაც არაა საჭირო ჩვენი ერის პრობლემებსა და არცთუ საშურ თვისებებზე ყურადღების მიპყრობა, ბეჭდვით სიტყვას კი მხოლოდ ერის გამხნევება და მისი დადებითი მხარეების წარმოჩენა მართებს. მე კატეგორიულად არ ვეთანხმები ამ შეხედულებას, მეტიც, იგი მიმაჩნია ჩვენი ეროვნული ხასიათის ზოგიერთი ბაზური თვისების უარყოფით გამოვლინებად. მაგრამ ეროვნული ხასიათის ბაზური სტრუქტურების შესახებ -- სხვა დროს.

აგვისტო, 1991.

მწერალი მწერლის შესახებ

ლადო ავალიანი

პავლე ინგოროყვა ჩემს სამწერლო ბიოგრაფიაში

1946 წლის გაზაფხულია. აქამდე დაწერილისაგან განსხვავებით, იმ ხანებში ჩაფიქრებული ნოველის წერა გამიჭიანურდა, რამაც დიდად გამაოცა. მაშინ პირველად მივხვდი და ვიგრძენი, თუ რას ნიშნავს მწერლის მომწიფება. მანამდე, უმრავლესობა ჩემი მოთხრობებისა ერთ ღამეში "იბადებოდა". თავიდანვე მიყვარდა ღამის მყუდროებაში წერა, და ეს ჩვეულება აქამდე შემომრჩა.

"მუხის ჭია" თვენახევარში დაიწერა, დაიხვეწა. გადათეთრებული ხელნაწერი "მნათობის" რედაქციაში მივიტანე. პასუხს ორი თვე ველოდი. ერთ "მშვენიერ" დღეს, რედაქციაში კიდევ ერთხელ მისული, საყვედურის თქმას რომ ვაპირებდი -- მოთხრობის წაკითხვას არ უნდა დააყენოთ ხამველი მეთქი, არ მახსოვს ვინ (ალბათ რედაქციის მდივანმა, ან პროზის განყოფილების გამგემ) ჩემს დანახვაზე უჯრიდან ხელნაწერი ამოიღო, მერე თავისთან მიხმო, მარცხენა მკლავი ნიდაყვში მომაზრევინა, ის ხელნაწერი იღლიაში ამომიდო და მითხრა -- შეგიძლია წაიღო შენი ნოველა, სახლში შეინახო... ახლა მაგისი დრო არ არის და... გირჩევ, ნურც გაახმაურებო. შემატყო, ასეთმა მოულოდნელმა პასუხმა მეტყველების უნარი რომ დამიკარგა. ნათქვამს მცირეოდენი პაუზის შემდეგ დაუმატა -- ასეთია რედაქციის გადაწყვეტილებაო. ვინ წაიკითხა, რა აზრი გამოთქვა, რას მიწუნებენ, არაფერს არ მეუბნებიან. განაჩენს არ ვემორჩილები, რედაქციაში მაინც დავდივარ და ჩემს უკმაყოფილებას არ ვფარავ. ყველა მისმენს, ვისაც მივმართავ, ვინც რედაქციაში მხვდება და ყველა... დუმილით მპასუხობს. ბოლოს, არ ვიცი, ამ შემთხვევის შემდეგ მერამდენედ შევიარე რედაქციაში, ერთ-ერთმა თანამშრომელმა ვერ მოითმინა და საყვედურის კილოთი მომაძახა -- შენ იცი, პავლე ინგოროყვამაც კი გაასავსავა ხელებიო?! ამის გაგონებაზე რაჲაც ელდასავით მეცა. ჩემს გაკვირვებას საზღვარი არა ჰქონდა. წარმოგიდგენიათ? პავლე ინგოროყვაც კი მეუწუნებიათ! მაშინ პავლე ინგოროყვას როგორც სარედაქციო კოლეგიის წევრს, მეცნიერების განყოფილება ებარა და ვერასგზით ვერ წარმოვიდგენდი თუ მოთხრობის წაკითხვასაც დაავალებდნენ. საქმე ის იყო, მართალია, უშუალოდ მხატვრული მასალის წაკითხვა არ ევალებოდა, მაგრამ როცა რედაქცია რომელიმე ავტორის ნაწარმოებში "საეჭვოს" რასმე დალანდავდა, და ავტორს ადვილად თავად ვერ გაუმკლავდებოდა -- ნაწარმოებს წასაკითხავად პავლე ინგოროყვას გადასცემდა, ისე რომ ამის შესახებ ავტორმა არაფერი იცოდა. პავლე ინგოროყვას წვლომა, დასკვნა "განაჩენი" კი საბოლოო იყო. არ არსებობდა ავტორი, რომელიც გაბედავდა, პავლე ინგოროყვას შეკამათებოდა. მით უმეტეს, რომ მის უაღრესად პრინციპულ მიდგომასა და სამართლიანობაში ეჭვი არავის ეპარებოდა.

მე, რა თქმა უნდა, ვერ გავბედავდი ბატონი პავლესათვის მეკითხა -- რა იპოვნეთ ჩემს ნოველაში ისეთი, რომ რედაქციის უარყოფით აზრს